



პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსს ბატონ ვახტანგ ნადარეიშვილს ამავე სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მიერ 2022 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგინებ იურიდიულ საკითხთა განყოფილების 2022 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშს:

1. უზრუნველყოფილ იქნა მერის ბრძანების შემდეგი პროექტების მომზადება:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 2 აგვისტოს №48.48222148 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (ჯგუფის უფროსი შვებულების გამო ამოყვანილი იყო ჯგუფიდან, ამ ცვლილებით შეუდგა მისი მოვალეობის შესრულებას) მერის ბრძანების პროექტი;

1.2 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ჯგუფი უფლებამოსილია იმოქმედოს „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილებით). მერის ბრძანების პროექტი;

1.3 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მიღების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 24 იანვრის N 31 83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მერის ბრძანების პროექტი;

1.4 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების

მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ მერის ბრძანების პროექტი;

1.5 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვისა და რეკომენდაციის წარდგენის მიზნით მერის სათათბირო ორგანოს - საბჭოს შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 დეკემბრის №311832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ,(შეიცვალა კომისიის წევრები) მერის ბრძანების პროექტი;

1.6 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების პროცენტული ოდენობისაგან განსხვავებული დაფინანსების საკითხის შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 აპრილის N ბ 48.48221048 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, (შეიცვალა კომისიის წევრები) მერის ბრძანების პროექტი;

1.7 წყალტუბოს მუნიციპალიტეტში „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ დასაქმებული პირების სამუშაოს შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, მერის ბრძანების პროექტი;

1.8 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის, ხანძრის შედეგად დამდგარი ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების ოდენობის განსაზღვრის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის N 31 1847 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მერის ბრძანების პროექტი;

1.9 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ,მერის ბრძანების პროექტი;

1.10 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ნოემბრის №48. 48223346 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, (შეიცვალა კომისიის წევრები) მერის ბრძანების პროექტი;

1.11 „ უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 დეკემბრის N580 დადგენილების საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, მერის ბრძანების პროექტი;

2. უზრუნველყოფილ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემდეგი პროექტის მომზადება და გაგზავნა საკრებულოში:

2.1 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების

ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტს. (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 1 ვაკანტური შტატი- მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატის გარდაქმნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატად);

2.2 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტს. (პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტის 1 სამშატო ერთეულის დამატებით ოფშკვითის ადმინისტრაციულ ერთეულში).

2.3 „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №81 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

2.4 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტს. (პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია ხელფასების მატებით).

3. მომზადდა და საკრებულოში გაიგზავნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანისა და შესაბამისად ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე სამართლებრივი დოკუმენტაცია. (წესდებაში აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებული იყო წესდების მე-11 და მე-4 მუხლების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით: (კერძოდ,საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სათანადო მომზადების ხელიშეწყობა სურვილის მიხედვით მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგაბაღებში და საბავშვო ბაღებში და დაემატოს N 23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), N 24 ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო 9 აპრილის 15)).

4. უზრუნველყოფილ იქნა შემდეგ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება:

4.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ხათუნა შალამბერიძის შორის არსებულ დავაზე (დავის საგანი - საკომლო ჩანაწერისა და ჩუქების ხელშეკრულების

ბათილად ცნობა.დღეის მდგომარეობით საკომლო წიგნში სათანადო ჩანაწერის ბათილად ცნობა/შესწორების შეტანა არ განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფეროს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს საკომლო წიგნის ჩანაწერების ბათილად ცნობის საკითხთან დაკავშირებით.) აღნიშნულ საქმეზე დაზუსტებული სარჩელის შესაბამისად მომზადდა შესაგებელი, მონაწილეობია იქნა მიღებული 3 სასამართლო პროცესში. მიმდინარე საქმე;

4.2 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ციცილო ნემსაძეს შორის არსებულ დავის 2 სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება სააპელაციო სასამართლოში; ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება (ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება) კერძო საჩივრის თაობაზე მიღებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4.3 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ლამოდერნას“ შორის არსებულ დავაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 1 სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება.(შპს „ლამოდერნას“ მოთხოვნა, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ლამოდერნას“ შორის 2020 წლის 22 ივლისს დადებული N82 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს 0.1% ოდენობის შემცირებას 0.01%-მდე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისათვის 8834.76 ლარის დაკისრებას) სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით.

4.4 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გზამშენი 2017“ შორის არსებული დავის სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სასარჩელო მოთხოვნა. შპს „გზამშენი 2017“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისროს 3399,2 ლარის გადახდა; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით.

4.5 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ანზორ თევდორაძეს შორის არსებული დავაზე 4 სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღება.
(დავის საგანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა) სააპელაციო გადაწყვეტილების გამოცხადება 14 დეკემბერს, გადაწყვეტილების ასლი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას ჯერ არ ჩაბარებია.

4.6 მომზადდა სამოქალაქო სარჩელი ფ.პ „გოჩა გურეშიძე“-სთან დაკავშირებით და გაიგზავნა წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოში. (სოფელ ზარათში, სოფელ რიონში და სოფელ მაღლაკში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისა და სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა.)

4.7 მომზადდა სამოქალაქო სარჩელი ი.მ „მანუჩარ კახიძე“-სთან დაკავშირებით და გაიგზავნა წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოში. (სოფელ რიონში, სოფელ ზარათში და სოფელ მაღლაკში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისა და სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა.)

5. უზრუნველყოფილ იქნა 1 რეკომენდაციის მომზადება

5.1 ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებისათვის მომზადდა რეკომენდაცია რომელიც შეეხებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თახახმად საჯარო ინფორმაცია

ლია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კოდექსის III თავით.

- 6. უზრუნველყოფილი იქნა სამსახურების მიერ მომზადებული 1114 დოკუმენტის სამართლებრივი ექსპერტიზა.**
- 7. უზრუნველყოფილი იქნა პირადი კორესპოდენციიდან 37 წერილის პასუხის მომზადება .**
- 8. მერიის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფის მიზნით იურიდიული კონსულტაციები გაეწიათ მერიის სამსახურების პროფესიულ საჯარო მოხელეებსა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომლებს.**

მარეზი კანკაძე

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-იურიდიულ საკითხთა განყოფილება-განყოფილების უფროსი
(მოვალეობის შემსრულებელი)